სამშობლო

სამშაბათი
19 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელ[illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებ[illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტ[illegible] 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების [illegible] ბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 265 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 265

ტელეფონი № 76.

სამშობლო დიდის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო"-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

ელექტრო **„რადიუმი"** თეატრი

ორშაბათს, 18 იანვრიდან ახალი პროგრამა

ომი ელზასში, ომის ქრონიკიდან.

გვამთან.

სენსაციური დრამა ორ ნაწილ. ცნობილ იტალიელ მსახიობის მარიო ბონარის მონაწილეობით.

გაზაფხულზე

სანტერესო კომედია სამ ნაწილად ლეონსის მონაწილეობით. მხატვრული სურათი.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 21 იანვრიდან ნაჩვენები იქნება

კრუპის ქარხნის საიდუმლოება. ტრაგედია 5 ნაწილათ პროლოგით და ეპილოგით გამოჩენილ არტისტთა ბოგოსლოვსკის, ტარასოვის, ტრუბეცკოის და სხ. მონაწილ.

ელექტრო **„ამპირი"** თეატრი

ორშაბათიდან, 18 იანვრიდან ახალი პროგრამა მხოლოდ დიდებისთვის

ომი ელზასში. ომის ქრონიკიდან.

კაეშნიანი სულნი. თანამედროვე დრამა სამ ნაწილად, იტალიელ გამოჩენილ მსახიობთა ოლჩის და კარნო ბენეტის მონაწილეობით.

სტუდენტი და უცნობი ქალი. მხიარული კომედია ორ ნაწილათ, ცნობილ მსახიობების ვ. კრალინის და ანტონ ფერტნერის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 21 იანვრიდან ნაჩვენები იქნება

ქმარი. მეორე სერია. მ. ნ. არციბაშევის ნაწარმოებიდან 5 ნაწილად. გორიჩევის, ჩერნეცკოის და ვარიაგინის მონაწილეობით.

ქალაქის თეატრი. სამშაბათს, 19 და ოთხშაბათს, 20 იანვარს

პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავჯდომარის თანაშემწე პროფ.

ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკული

წაიკითხავს ორ

ლექციას

შემდეგ თემაზე:

1. ძალმომრეობა ქვეყანაზე. ევროპის ომი. რუსეთის როლი ამ ომში.
2. რუსეთი და მისი ერები.

სრული შემოსავლიდან 20 პროც. დაეთმობა „სინათლის" საზოგადოებას.

ცნობებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ დრამატიული საზოგადოების მდივანს შავიქვის სახლის დარბაზში.

პირველ ლექციაზე—საბენეფისო ფასებია, მეორეზე—ჩვეულებრივი.

ბილეთები წინდაწინ შეგიძლიათ შეიძინოთ თეატრის კასაში.

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განახლა ავადმყოფების მიღება (ქალ-ურ, ვენერიულ და შინაგან ავადმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი მუღრინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი ი. ჩარიძოძე ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.

გოსპიტლის ქუჩა სახლი ალახვერდიევის, ბინა ალიეროვისა. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ტანვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას. ამასთან ვუვლი ფრჩხილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი გ. დ. ნახარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს.-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

16 იანვარი. წარსულ ღამის განმავლობაში ჯარს შეტაკება მოუხდა გენკრალ ივანოვის მხედრობასთან, სადაც მტერი სცდილობდა შუა სტრიპის ფრონტზე ჩვენს თხრილებთან მოახლოებას. მტრის ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა; ჩვენი ძლიერი არტილერიის ცეცხლის საშუალებით, მტრის იერიშები ყველგან მოგერებულ იქნა.

კავკასიის ფრონტი.

ტორტუმის ტბის რაიონში ნაწილი ჩვენის ჯარისა მიიწევს დუმ-უაღაგის ქედით. აზრუმის ჩრდილოეთ რაიონში ჩვენ გავანადგურეთ ოსმალებით დასახლებული რამდენიმე პუნქტი. მოგერებულ იქნა ოსმალების იერიშები, რომელნიც ცდილობდენ წინ წაწევას აზრუმის აღმოსავლეთით პასინის მიდამოებისაკენ. ყველა ბრძოლის დროს, ჩვენს მხედრობას წარმატება ემხნევოდა; ხელთ ვიგდეთ ტყვე ასკერები. ოსმალების დევნა გრძელდება. ჩვენს ჯარს უხდება ორი საჟენი სიმაღლის თოვლის გადალახვა.

—

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

არზრუმის დახმარებლათ.

კოპენჰაგენის გაზეთს ბერლინიდან დეპეშით აუწყებენ, რომ უმაღლესმა სამხედრო საბჭომ ვილჰელმის თავმჯდომარეობით დაადგინა, რომ ავსტრიის იმ ჯარების ერთი ნაწილი, რომელიც ახლა ჩერნოგორიაში დგას, მცირე აზიაში გაიგზავნოს, რათა ოსმალეთს არზრუმის დაცვაში მიეშველოს.

დარდანელში.

როგორც კი მოკავშირეებმა დარდანელი დატოვეს, გახარებულნი ოსმალონი იმ წამ-ვე დატოვებულ პოზიციების დასაკავებლათ გაეშურენ და რაც სანგრებში შევიდენ, საშინელი აფეთქება მოხდა, ალბათ მოკავშირეებმა ფუგრები დამზადეს. მოკლულია 3,000 ოსმალო. დარდანელში ახლა 25,000 ნემეცი ჯარის კაცი დგას.

გინდენბურგის მომავალი გეგმა.

გერმანიის ძალების მთავარ სარდალი გინდენბურგი ახლა მიტავაში, ბალტიის ზღვის პირის ქალაქში იმყოფება. ის აქ ვილნოდან მოვიდა და მიტავის ქალაქის თავი სერაფიმე პირადათ ინახულა; მასთან იყვნენ მოსალაპარაკებლათ აგრეთვე კურლიანდიის თავად-აზნაურთა და ქალაქების თვითმართველობათა წარმომადგენლებიც. მიტავიდან გინდენბურგი ოლაის პოზიციებისაკენ გაემგზავრა, სადაც მეომრებს ჯვრები და მედლები დაურიგა და თან გაამხნევა, რომ მომავალი გმირული შეტევისათვის მზათ იყვნენ. აქედან ყველამ ის შთაბეჭდილება მიიღო, რომ მალე ახალ შეტევას ეპირებიან. ფიქრობენ რომ გერმანიას გადაწყვეტილი აქვს თავის უზარმაზარი ფრონტის ფრთაზე ახალი გამალებული შეტევა დაიწყოს. **მაშასადამე გადამწყვეტ ბრძოლებს ახლო მომავალში რიგა დვინსკის ხაზზე და ბუკოვინის ფრონტზე უნდა მოველოდეთ.**

მტრის თვალის ახახვევა

გერმანული გაზეთის, „ტელეგრაფის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობით [illegible] ჯარებს ვითომ საფრანგეთის ფრონტზე უყრიან თავს.

სერბიის დაპყრობის გამო

ბუდაპეშტის ერთი გაზეთის გადმოცემით ავსტრიასა და უნგრეთს შორის სერბიის დაპყრობის გამო დიდი უთანხმოება თურმე ჩამოვარდნილი. სერბიის ტერიტორია ახლა ავსტრიის ჯარებს უკავია უნგრეთი კი მოითხოვს, რომ სერბია მას შეუერთონ.

ქრონიკა

რუსეთი.

დუმის მოწვევა.

პეტროგრადიდან დეპეშით იუწყებიან დუმის მოწვევა ახლა 20 თებერვლისთვის გადადვესო.

ხრუსტალიოვ-ნოსარის საქმე.

პეტროგრადის მუშათა დეპუტატების ყოფილი თავმჯდომარე ხრუსტალიოვი, როგორც მკითხველმაც იცის, ციმბირიდან საზღვარგარეთ გაიქცა; შემდეგ მას ევროპაში რაღაც ნაირი სათაკილო დანაშაულობა დააბრალეს და გაასამართლეს კიდეც; ახლა კი მას რუსეთში ვხედავთ და რუსეთის მთავრობა მას ციმბირიდან გაქცევისთვის ასამართლებს. გასამართლება დანიშნულია პეტროგრადის საოლქო სასამართლოში 27 იანვრისათვის მას მოელის სასჯელი სულ მცირე—სამი წლით კატორღაში მუშაობა.

პეტროგრადში სურსათი აღარ ეშოვებათ.

პეტროგრადის სასურსათო საქალაქო კომიტეტმა უმაღლეს მთავრობას მოხსენებით მიმართა, რომლითაც იგი სურსათის ნაკლებობის მხრით პეტროგრადში გასაჭირს გვისურათებს.

კომიტეტის ცნობით პეტროგრადის დღეს არც ერთი უსაჭიროესი საგნის სათადარიგო საწყობი არ მოიძევა. მცხოვრებნი მხოლოდ დღითი-დღე შემთხვევით შემოტანილი სურსათით საზრდოობს; და ესეც თანდათან კლებულობს. მაგალითად ხორცი ახლა ნაკლებათ იშოვება ქალაქში, ხოლო ფქვილი, ერბო, კრუპა სულ აღარ სჩანს ბაზარზე. ეს კომიტეტის აზრით რკინის გზის მიმოსვლის განსაკუთრებული წესებისგან წარმოსდგა. ამ მიზნით ახლა მოსკოვსა და პეტროგრადს შორის სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტაც დიდს ვერაფერს გააწყობს.

ნაკაზი.

პეტროგრადის მუშების რწმუნებულთა საზოგადო კრებამ თავის წარმომადგენლებისთვის ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში სამოქმედოთ შემდეგი ნაკაზი შეიმუშავა.

1) აცნობეთ ცენტრალურ კომიტეტს, თუ პეტროგრადის მუშები როგორ უყურებენ ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას და მისი ხსნის პირობებს.

2) განუცხადეთ ცენტრალურ კომიტეტს, რომ პეტროგადის მუშები სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მოქმედებისთვის პასუხს ვერ აგებს: ერთი კომიტეტის შემადგენლობის გამო, მეორე იმიტომ, რომ რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში მუშათა კლასი ქვეყნის დაცვაში პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს.

3) სასტიკი პროტესტი განაცხადონ მუშათა წარმომადგენლების არჩევის იმ წესის წინააღმდეგ, რომელიც 3 ივნისის მახინჯ საარჩევნო წესის კიდევ დამახინჯებულ მსგავსებას წარმოადგენს.

4) ეცნობოს კომიტეტს, რომ მუშათა კლასის ჭეშმარიტ წარმომადგენლობისათვის და იმ დიდ მიზნებისათვის რომელთა მისაღწევათ მუშათა კლასის აქტივობაა საჭირო, აუცილებლია სრულიათ რუსეთის მუშათა სიეზდის მოწვევა, რომელზედაც სხვათაშორის დაწვრილებით გამორკვეული იქნება, თუ რა პოზიცია უნდა დაიკავონ მუშათა წარმომადგენლებმა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში.

ამასთან კრება წარმომადგენლებს ავალებს, რომ თავის შემდეგ მოქმედებაში შემდეგი დირექტივებით იხელმძღვანელონ.

1) რწმუნებულებისგან არჩეულმა წარმომადგენლებმა კომიტეტში ცალკე დამოუკიდებელი მუშათა ჯგუფი შეადგინონ. ყველა მათი გამოსვლები შეთანხმებული უნდა იყოს. საერთო პოლიტიკურ რეზოლიუციასთან და ნაკაზთან, რომელიც საზოგადო კრებამ შეიმუშავა; ამასთან ეს გამოსვლა დამყარებული უნდა იქნეს უმცირესობის უმრავლესობისადმი დამორჩილებაზე.

2) წარმომადგენლები უნდა შეეცადონ, რომ რწმუნებულთა კოლეგია შემდეგშიაც დაცულ იქნას; რომ მიეცეს ამ კოლეგიას საშუალება თავის ფაბრიკის ამრჩეველ მუშებთან მუდმივი კავშირი იქონიოს.

3) უნდა ყოველი ღონე იქნას მიღებული, რომ რაც შეიძლება მალე აღადგინონ: მუშათა-პროფესიონალური კავშირები, კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი და პრესა.

4) აგრეთვე ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ მუშათა სიეზდი იქნას მოწვეული.

5) მუშათა სიეზდის დასრულებამდი რწმუნებულთა კრება თავის დროებით წარმომადგენლებთან [illegible] თქვენ და გავალებთ, რომ როგორც კი გამოირკვევა ზემოთ დასახელებული კითხვები თქვენ მიერ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წინაშე, მოიწვიოთ ისევ რწმუნებულთა საზოგადო კრება, რომელიც გაითვალისწინებს და განსაზღვრავს ყოველივეს, თუ რა უნდა აკეთოთ თქვენ შემდეგში.

ჩრდილოეთის ფრონტიდან.

დღეს, 23 დეკემბერს, კ—იის დივიზიის ერთ ერთი პოლკის დამზვერავთა ჯგუფი, ოცდაათი კაცისგან შემდგარი, პრაპორშჩიკ ვასილ მეთაურობით იეკ—ტის რაიონში წააწყდა გერმანელთა ასეულს. პრაპ. ფონ ჯგუფმა ზურგიდან მოუარა გერმანელების ასეულს, ერთი ოფიცერი სასიკვდილოთ დაჭრა, მეორე მძიმეთ. უოფიცრებოთ დაბნეულან გერმანელთა ჯარისკაცნი და უკუქცეულან. თორმეტი ჯარისკაცი მძიმეთ დაჭრილ გერმანელ ოფიცრით ტყვეთ წამოიყვანეს.

ოფიცრებს მაჯა არ უცემდა, ლაპარაკი აღარ შეეძლო.

ჯარისკაცებს შევეკითხეთ: რას ფიქრობენ თქვენშიო? სულ ზავზე ლაპარაკობენ და სწყრებნო, მაგრამ ამას გჳვის თვალით უნდა შევხედოთ, ვინაიდან ჯერ გერმანია არ ფიქრობს ზავზე; ან კი როგორ შეიძლება დღეს რომელიმე მხარემ ზავზე დაიწყოს ლაპარაკი, როდესაც საქმე საბოლოოთ არაა გამორკვეული. დღეს რომ ზავი შეკრან, ზავი იგი არ იქნება ხანგრძლივი რამდენიმე წლის შემდეგ ომი უნდა ხელ ახლა განახლდეს, რათა რომელიმე მხარე ბრძანებელი შეიქნეს ზღვაზე თუ ხმელეთზე.

დღეს გერმანია, თავის მოკავშირეებით გამარჯვებულია, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ჯერ არ ვიცით ვის, დარჩება. ცენტრალურ სახელმწიფოებსაც და ოთხთა შეთანხმებასაც კვლავ სურთ განაგრძონ ომი: შეიძლება 1916 წლის გაზაფხულმა გადასწყვიტოს თუ ვინ უნდა მოითხოვოს პირველმა ზავი და თან უნდა მოიხაროს ქედი. დღეს კი ვერ დაუჯერებთ გერმანელ ტყვე ჯარისკაცებს, რომ გერმანიაში ზავის მომხრენი იყვნენ. ამგვარი აზრის გავრცელება მათგან რუსეთში ერთგვარი პოლიტიკაა-სურთ რუსეთის ხალხი თვით ალაპარაკონ ზავზე და, თუ მართლაც ამ ბოლო ხანში მაღალ სფეროებში რაღაც მითქმა მოთქმა შეიქნა სეპარატიულ ზავზე, დღეს ხელმწიფე იმპერატორის უმაღლეს მთავარ სარდლის 20 დეკემბერს წარმოთქმული სიტყვის შემდეგ, მანამ, ვიდრე მტრის ერთი კაციც რუსეთის მიწაზე იქნება, ცხადია, ზავზე ფიქრი რუსეთის მხრით ჯერ ჯერობით ფუჭი ოცნებაა.

სხვათა შორის, გერმანელ ტყვეებს როდესაც ჰკითხეს, თუ გერმანიაში დღეს ხალხს ვინ უფრო უყვარს ვილჰელმი, გინდენბურგი, თუ მაკენზენი, ერთმა მათგანმა სთქვა-რომელიც მალე კეთილ მშვიდობიანობას მოგვიტანს ის გვყვარებაო.

ნ—ი.

შეცდომის გასწორება.

გუშინწინდელ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ წერილში „პასუხად ბ. ს. ხუნდაძეს", **მრავალი კორექტურული შეცდომაა** შეპარული კარგი მკითხველი მიხვდება და ვინც მას ჩვენ პირად შეცდომებათ ჩასთვლის იმას მხოლოდ დუმილით ვუპასუხებთ.

ი. გ. ც—ძე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

გუშინ, ქუთაისის საკათედრო ტაძარში ყ. დ. სამღვდელო გიორგიმ გადაიხადა პანაშვიდი კავკასიის მეფის მოადგილეთ ნამყოფ გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრენ ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი პოტულოვი, ხმოსანი ავსარქისოვი და ორიც სხვა ჩინოვნიკი.

✦ თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი, ქალაქის თვითმართველობას ატყობინებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას ნება დართო ტელეფონზე მოლაპარაკეებისაგან აიღოს 3 წამში ერთი შაური.

✦ ქალაქის გამგეობას ბ. გუბერნატორმა შეატყობინა, ვისაც სურს ქ. ბათუმიდან და ფოთიდან შემოიტანონ ფქვილი, განცხადება უნდა შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში არა უგვიანეს 19 იანვრისა საქონლის გამომგზავნელის სახელი მამის სახელი და გვარის აღნიშვნით.

✦ ფოთის ქალაქის თვითმართველობამ უკვე წარმოუდგინა ქუთაისის გუბერნატორს 1916 წლ. ხარჯთ აღრიცხვა. 1916 წლ. განმავლობაში ქალაქს ექნება შემოსავალი 617,552 მან. და 69 კ. ჩვეულებრივ შემოსავლიდან 230,422 მ. 34 კ. სპეციალური შემოსავლიდან 387,100 მ 69 კ. გასავალიც ამდენივე ექნება ქალაქს.

✦ თფილისის ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა (!) ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო ს. მუხურაში (ოზურ. მაზ.).

✦ გუშინ ქუთაისში ხორცი აღარ იშოვებოდა [illegible] მიქცევა, ვისგანაც ჯერ არის.

✦ ქართ. შ. წ. კ. გამ. საზ. ლანჩხუთის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ ს. ჯაფანას ნიგოითის საზოგადოებაში (ოზურ. მაზ). გახსნან უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო.

✦ ღ. ტყიბულის მცხოვრებმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „[illegible]ვრება".

✦ დღეს საოლქო სასამართლო გაარჩევს შემდეგ პირს [illegible] საქმეს ზაქარი იაშვილის, [illegible]თაძისა და ივანე იზორიას საქმეს.

✦ გუშინ უკვე დაიწყო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრებები.

✦ პრაპორჩიკი სერგო [illegible] აცხადებს: 15 იანვარს ქალაქში დავკარგე დოკუმენტები, მპოვნელისთვის სრულიად ურგები, მისთვის დიდათ საჭირო. მპოვნელს სთხოვს მოიტანოს „სამშობლოს" რედაქციაში. მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

✦ გუშინ ქუთაისში არ მოსულა თბილისის ყოველ კვირეული გაზ. „ზვირთი".

✦ დღეს და ხვალ ქალაქის თეატრში პირველი სახელ. სათათბიროს თამჯდ. ამხანაგი პროფესორი ნ. ა. გრედესკული წაიკითხავს ლექციებს ა). [illegible] ქვეყანაზე და ბ.) რუსეთი და მისი ერები. რომლის შემოსავლის 20% გადაიდება „სინათლის" საზ. სასარგებლოთ.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს ოლიმპიადა ბაქრაძის ასულს კვირას, 24 იანვარს, ქალაქის თეატრში წაიკითხოს ლექცია „ქალთა უფლება"-ზე.

✦ 17 იანვარს ქუთაისის ქართულ თეატრში მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგინა, პიესა „გაკოტრება" საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

✦ 17 იანვარს ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართა კომპოზიტორ დავიდოვსკის კონცერტი, საზოგადოება საკმაოთ დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნები დარჩა:

✦ ქუთაისის ადგილობრივ ლაზარეთის გამგე ექიმმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რაც შეიძლება ღონის ძიება მიიღონ, რომ ქუთაისის მეყასბეებმა ხორცი დაწესებულ ნიხრზე გაყიდონ.

✦ ქუთაისის სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ პასუხის გებაში მისცა 411 მ. ძალით ოზურგეთის თვითმართველობის მამასახლისი გოგოლაშვილი.

✦ ოფიციალური გაზეთი „კავკაზი" გადმოგვცემს: „ტფ. პოლიციმეისტერმა [illegible] ზენოვსკიმ აღმოაჩინა დიდი ქურდობა: საექსპედიციო ამხანაგობა „გ. ვ. ადელხანოვი და კომპ." თურმე სისტემატიურათ იპარავდა სახაზინო მადებს. ამ ქურდობის გამომჟღავნებას პოლიციმეისტერმა ხუთი თვე მოანდომა, რადგანაც დღევანდელ განსაკუთრებულ სამხედრო მდგომარეობის გამო გამოძიება დიდად დამაბრკოლებელ პირობებში სწარმოებდა. ახლა უკვე აღმო-

---

წმიდა ნინო *).

II.

(იხ. „სამშობლო" № 264.)

ცეცხლი თავიდანვე სათაყვანებელი იყო როგორც ყოვლად მიუცილებელი რამ იარაღი კაცის ცხოვრებისათვის, ასე რომ თუ გაუქრებოდა ვისმეს იგი რაიმე შემთხვევით, დიდს საგონებელში ჩავარდებოდა. ამის გამო ადამიანი ცეცხლს უფრთხილდებოდა და ინახავდა. რაც ჩვენში შამოვიდა სპარსეთიდან ცეცხლის თაყვანისცემა, მას აქეთ უფრო გამტკიცდა მისი კულტი, რადგანაც წმიდათ მიაჩნიათ და გაუქრობლივ.

დავინახვენ კერაში განსაკუთრებით პირველ იანვრიდან წყალკურთხევამდის ცეცხლსა. დღესაც კი ჩვენი ხალხი იწყევლება ამ სიტყვებით: „გაგიქრეს კერა", „დაგემსოს ცეცხლი". კერა თვით სიცოცხლეა. კერის შენძრევა დიდს ცოდვათ მიაჩნიათ და ვერც ვერავინ გაბედავს მის შერყევას. ჩვენში ახლაც იციან,—დარჩეულს ნიგოზის ხეჭეპოიანა,—დანთება კერასთან. (საქართველო, (ამას ჰქვია ბაზმა.) № 142, 1915 წ.). ჩვენებური პურის მცხობელი თონეში პურის ჩაკვრის დროს პირს იკრავს; რადგან ადამიანის სუნთქვა უწმინდურია, ხოლო ცეცხლი კი წმინდა სტიქიონად ითვლება, ამიტომ მაზდეიანობის მიმდევრება კეთილ მორწმუნეებს აგონდებოდა, რომ პური პირ აკრული ეცხოთ.

ჩვენს წინაპრებს წარმართობის დროს ცეცხლის თაყვანის ცემის კერპით ჰყოლიათ ბოჩი, რომელსაც შვიდი ხელი ჰქონია ნიშნად კავკასიონის შვიდი მწვერვალის ბატონობისა დიალ მართალი ყოფილა ივერიის და კოლხეთის საზღვარზე; აგრეთვე გაც და გაიმ, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მთავარ—სარდლის აზონს მცხეთას ჩაუტანია და, შემდეგ, მაზდეიამის ხანაში, ალუმართავთ მარჯვნივ და მარცხნივ არმაზის კერპისა. ჩვენში ბავშვებს ახლაც ამ სიტყვებით აშინებენ, როდესაც გაჭირვეულდებიან, უთავ-ბოლოდ, არიმონებენ, ან რამე უბრალოზე ხურდებიან: „გაჩერდი, თორემ ბოჩი მოვა და წაგიყვანსო".—როგორც იაპონიაში და ჩინეთში, ისე საქართველომაც სხვა და სხვა სარწმუნოებრივ ჩვეულებათა შორის, ყველაზე უფრო გავრცელებულა წინაპრების თაყვანის ცემა. ეს კულტი არსებობს როგორც არიენოსებში, ისე ქართველ ფშველებში, ხევსურებში და თუშებში. იგი გადმოსულა ქრისტიანობამდისაც. მაგალითად ჩვენში მიღებულია მიცვალებულის „ხელის გახსნა" შემდეგ რამდენიმე დღისა გარდაცვალებიდან. ეს შეცდომით მივაჩნია ჩვენ: ნაცვლად „ხელის გახსნისა" უნდა იყოს „სულის დახსნა" და აი რატომ, ხალხის წარმოდგენით კაცის სული ხორცისაგან დაშორების შემდეგ მოგზაურობს სხვა და სხვა ცხოველთა შორის და, როდესაც ყველგან დაივლის, მერმე დაუბრუნდება თავის პირველს ადგილს, თვით მის სახლს, დასტრიალებს რამდენიმე ხანს. აი ამ დროს ეწოდება „სულის დახსნა", ე. ი. იგი ყველასაგან დახსნილია და აწი თავის ბინაზე. ამისთვისაცაა დღესაც ჩვენში წესი მიცვალებულზე „სულის გახსნისა" ზოგისთვის ხალხში კი მიღებულია სულის ხორცის გაყრის დროს ჰკეტვენ კარებს და ფანჯრებს რომ სხვაგან არსად წავიდეს სული მკვდრისა.

აი როგორ მოგვითხრობს ამაზე პროფ. [illegible] მთელ ქართველებში წინაპრების საფლავების სულის დაფიცება, მაშინ ამბობენ: თუ ეს ფიცი ტყვილი იყოს, ესა და ეს ჩემი წინაპარი საიქიოსთვის მტრების გვარს ემსახუროსო.

კერასთან იმართება მკვდრებისთვის ალაპები, სულის საქმეები. ეს ცერემონიები გრძელდება მთელი წლის განმავლობაში გარდაცვალების ოჯახის წევრის დასაფლავების შემდეგ. გარდა ამისა წელიწადში რამდენიმე დღე ყოველთვის დანიშნულია ყველა მკვდრების მოსახსენებლად.

ამ ცერემონიებს შორის ზოგიერთები მხოლოდ ოჯახის წევრების თანადასწრებით ხდება, ზოგიერთები კი, გარეშე პირებიც ესწრებიან, რომელთაც პატივი უნდა სცენ განსვენებულს. დასაფლავება და წლის თავის ალაპი ამ უკანასკნელს ცერემონიებს ეკუთვნის. ამ გვარს დღესასწაულებს ესწრება ყველა ახლობელი ადგილების მცხოვრებნი. ჰკლავენ მთელს ფარას ცხვრისას, აგრეთვე ხარებსა და ძროხებს.

ყოველს პარასკევს,—თუ ქმარი მოკვდა, მისი ცოლი უმზადებს მას განსაკუთრებულს საჭმელს. წლის განმავლობაში გარდაცვალებულს ტანისამოსს აცმევენ, განგებ გაკეთებულს მანეკენს, აჯენენ მას საპატიო ადგილზე. ალაპებზე სჭამენ ჩვეულებრივზე გაცილებით მეტს, იმ იმედით, რომ თუ ჩვენ კარგად ვსჭამთ და ვსვამთ, გარდაცვალებულნიცა კარგად სჭამენ და სვამენ. ფშაველებისა და ხევსურების წარმოდგენა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ სრულიად ეთანხმება ზენდა-ვესტის წარმოდგენას. პატარა ბეწვის ხიდითაა გაყოფილი სამოთხე და ჯოჯოხეთი. მხოლოდ ღარსეულთ შეუძლიათ გადავლნენ ამ ხიდზე და მიაღწიონ ნეტარების სადგომს. ვინც ქვეყნიურ ცხოვრების დროს მძიმე ცოდვები ჩაიდინა, მას ყოველთვის ჩაუტყდება ეს ხიდი, ასეთი გავლენა წარმართობის ხანის სარწმუნოებრივი ჩვეულებაზე დღესაც ბევრია ჩვენში („მაცნე", № 4, 1902 წ.). ჩვენი წინაპრები, რომ თაყვანს სცემდენ მზეს და იგი მიაჩნდათ ცხოვრების და სინათლის წყაროთ, ეს იქიდან სჩანს, რომ იგი დღესაც ფიცულობს მზის სახელს: „ჩემმა მზემ, თქვენმა მზემ, ამომავალი მზის მადლმა, მზით გაიხარე, მზე დასაბნელებელო" და სხ. ამბობენ ქართველები.

ბუნების ბრმა ძალთა გაპიროვნებამ წარმოშვა სხვა და სხვა კულტი. ჩვენს მითოლოგიაში ქექა-ქუხილის კულტი ამიერ-[illegible] კავკასიონის მწვერვალებს, რომელიც მის ძალას ერთი ორად უფრო კარგ სახლომელს ჰქონიდა; ასე რომ ბოჩი [illegible] და ბრძანებელად იმ მწვერვალებისა... თუ არმაზი იყო გაპიროვნება ზეციური სინათლისა, ბოჩი ყოფილა თავდაპირველად კულტი ქექა-ქუხილისა, რომელიც ჰშობდა ზეციურსვე ნათელს—ელვას.

განცხადებით, პოზიტიურ რელიგიის ეკუთვნის ისრაელების სარწმუნოება და ქრისტიანობა.

ისრაელების სარწმუნოება შესდგება იეგოვას, ერთ ღმერთის თაყვანისცემაში, ამისათვის მას შეიძლება ეწოდოს იეგოვიზმი.

ქრისტიანობად იგულისხმება ერთიმხრით იესო ქრისტესაგან გადმოცემული მოძღვრება, სწავლა, მეორეს მხრით ამ სწავლის მიღება კაცობრიობისგან. ამ კაცობრიობის დამოკიდებულება ღმერთთან და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივ-სარწმუნოებრივი ორგანიზაციის ფორმები. [illegible] პირველად ერთად ერთი ფორმა იყო სულიერი საზოგადოება იუდეისა, მოციქულების იერუსალიმში პირველ ქადაგების შემდეგ. მოციქულებმა დააარსეს ეკლესიები სხვა და სხვა ქვეყანაში. პირველყოფილი საზოგადოება ადმინისტრაცია ძრიელ სადა იყო. საზოგადოება, რომელიც ეკლესიას შეადგენდა, ირჩევდა ეკლესიის მსახურთ.

რა არის ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიის სჯულით? ეკლესია არის ღვთისაგან დადგენილი საზოგადოება ხალხისა რომელიც შეერთებულია სარწმუნოებით, საღვთო სჯულით, მღვდელ-მოქმედებით და საიდუმლოებით. ეკლესია ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო.

თვისის სწავლის ქვა-კუთხედათ იესომ დაუდო სიყვარული ღვთისა და ერთმანეთს შორის, მისწრაფება სიკეთისა, სისრულისა, ძმობისა და ერთობისადმი. აი, როგორ უწოდებს ქრისტე ადამიანს ცხოვრებისაკენ: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა და ისწავლეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალი გულითა და ჰპოვეთ განსვენება სულთა თქვენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს" (მათე, II. 28—30).

სხვათა შორის, ქრისტე ბრძანებს—არავინ უნდა შეურაცჰყოთ და არ მოინდომოთ სხვისათვის ის, რაც შენთვის არ გინდა; არ უნდა იმრუშო, არ უნდა ჰფიცო, არ უნდა იყოს განსხვავება შენ და სხვა ხალხთა შორის და სხვები.

ქრისტიანობის ნიშნები საქართველოში ყოფილა ქრისტეს დაბადების შემდეგ მეორე საუკუნეში. ეს იქიდან სჩანს, რომ ქ. [illegible] (ფოთის) ეპისკოპოზი დაესწრებია უკვე პირველ მსოფლიო კრებას. აქედამ ცნობილი იყო, რომ ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი იყო ანდრია მოციქული. ჯავახიშვილის სიტყვით, ქრისტიანობა საქართველოში ორის მხრით ვრცელდებოდა: ასურეთიდან და სომხეთიდან, კაპადოკიიდან და მცირე აზი-

---

*) წაიკითხა ავტორმა ქუთაისის საკრებულოს დარბაზში 14 იანვარს 1916 წ.

ხუთშაბათს, 21 იანვარს, დილის 10½ საათზე ამაღლების მაცხოვრის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის თ-დ.

შალვა გიორგის ძის ჩიჯავაძის

სულის მოსახსენებლად,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ კნ. ნატალია ზურაბის ასული, თ-დი გიორგი მანუჩარის ძე ჩიჯავაძე, კნეინა მარო გიორგის ასული ნიჟარაძისა და თავადი მიშა დავითის ძე ნიჟარაძე.

სხვისა ჭირი, ლობეს ჩხირიო.

პირველი ჯგუფის ადამიანებზედ ამ ჟამად არაფერს ვამბობ. ჯერ ამის დრო არ დამდგარა. მოვა დრო და გამომჟღავნდება მათი საქმენი-საგმირონი; მოვა დრო და რასაც სთესდენ მოიმკიან.

ჩვენი წერილის საგანია მეორე ჯგუფი. მაგრამ მოდი და ილაპარაკე იმ ადამიანებზე, რომელთაც თავისი მოქმედებით ყოველთვის უთქვამთ და, რასაკვირველია, გაიმეორებენ დღესაც:—სწერეთ რამდენიც გინდათ, ილაპარაკეთ სურვილისამებრ, აწონ-დაზომეთ ჩვენი მოქმედება, ეს ჩვენ არ გვაშინებს.. მადა ჩვენი დიდია... ჩვენ დროითი ვსარგებლობთ... დრო ჩვენ გვაჯილდოებს...

საგრძნობლად დიდია რიცხვი ამ მეორე ჯგუფის ადამიანებისა. ისინი გაბატონებულან დღეს სოფლებში, გაბატონებულან ქალაქებში... და რატომ არ უნდა გაბატონდენ, როცა უპატრონოდაა ქალაქი და სოფელი მიტოვებული.

ვინც ჩვენ ქალაქისა და სოფლის ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს დღეს, ეჭვი არა აქვს, მისთვის ცხადია, რომ ქალაქი და სოფელი უპატრონოდაა, და ხომ გაგიგონიათ უპატრონო ეკლესიას რა დაემართა. მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ, საკმაოა ყურადღება მივაქციოთ „სავარდო და სამაისო" ქალაქის ცხოვრებას. აქ რომ დღევანდელი არაჩვეულებრივი მდგომარეობით მოსარგებლე ადამიანები გაბატონებულან ეს ცხადზე უცხადესია და რომ ამ ადამიანებს ამლაგმველ შემხურებელი არ ყავთ, ესეც დღესავით ნათელია.

დიახ, ჩვენ უპატრონოდ მიტოვებულ ქალაქში დღეს სრულიად თავისუფლად დათარეშობენ ტურაშვილ-მგელაშვილი, ჩიხურდანიძე-ფხალაძეები; რაც ენებებათ იმას ჩადიან, სითაც მოესურვებათ, იმ მხარეზე ლოცულობენ. მათ თავისუფალ მოქმედებას არა აქვს საზღვარი. მათთვის არ არსებობს კანონი, ნიხრი, ადამიანური გზები.

არ გჯერათ? ნუ დაიზარებთ და დაუკვირდით ზოგიერთ ვაჭრებს მოქმედებას. გაიარეთ თუგინდ მეყასბეების უბანში. აქ თქვენ ნახავთ, რომ ხორცს ერთი ყასაბი ჰყიდის ხუთ შაურად, მეორე აბაზად, მესამე [illegible] კაპიკად, ერთი სიტყვით თვითეულ ყასაბს საკუთარი ნიხრი დაუდგენია, საკუთარი კანონი შეუმუშავებია და ამის და მიხედვით სრულიად გაუწითლებლად ათამაშებს მარჯვენსა და ჩოთქს და თუ ვაჭარს ხმა დაეტყვი რამეს: წამსვე უზრდელი სიტყვებით გაგიმასპინძლდება.

ახლა, მითხარით თუ ღმერთი გწამთ, რომ აქ მონასტერი არ იყოს არეული, რომ ქალაქს პატრონი ყავდეს, მეყასბეებს ამ გვარ თავისუფალ მოქმედებას ექნება ადგილი?..

ნუ დაიზარებთ და შეიხედეთ ფურნეებში. პური ჩვენი ქალაქის ყველა ფურნეში ცხვება, მაგრამ როგორი? ყველგან სხვადასხვანაირი: ზოგან გვარიანი, ზოგან ძაღლს არ ეჭმება იმისთანა, ზოგან ნახევრად გამომცხვარი, ზოგან კი ძლიერ გამომცხვარი. ერთი მეფურნე ყიდის ოყას 22 კ. მეორე 20, მესამე 18 კ. მეოთხე 16 კ. ერთი სიტყვით თვითეულ მეფურნეს თავისი საკუთარი ნიხრი, თავისებური პურის ცხობა შემოუღია.

ეხლა სთქვით, თუ ღმერთი გწამთ, იმ ქალაქში, სადაც წესიერების დარღვევას ვერ ბედვენ, სადაც მცხოვრებლებს პატივისცემით ეპყრობიან, ექნება ადგილი მეპურეების ამ გვარ თავისუფალ მოქმედებას?..

ნუ დაიზარებ და გაიარე მკითხველო, საკრებულო ტაძრის ახლო, რიგანაშვილის დიდი შენობა რომ არის. დიახ, დიახ თბილისის ქუჩაზე და დასტკბი ცქერით. აქ ვიღაც ვაჭარს თუ ვაჭრებს შაქარი მოაქვთ თვეში ერთხელ თქმა არ უნდა შაქარით დამშეულ საზოგადოებას შაქარი იზიდავს; მოდიან და ქუჩას ავსებენ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ქართველი, ური და რუსი. აწვებიან ერთი მეორეს, ყველას უნდა ოდნავ გაღებულ დუქნის კარს მიაღწიოს და შაქარი ხელთ იგდოს. პირველად ბედნიერი ხდება შაქრის ხელში ჩაგდებით ის, ვინც ცოტა ღონიერია და მკერდით ხალხის გაპობა შეუძლია, ან ვისაც კეთილს თვალით შეხედავს დუქნის წინ ვითომ წესიერების დამცველი პოლიციელი.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ გვარი შემთხვევით სარგებლობს შაქრის გამყიდველი: წონის და ვინ იცის რამდენს აკლებს (ქუჩაში მდგომი მყიდველი ხომ აწონის დროს არ ესწრება), აწონის ზედმეტ ქაღალდის და ხშირად ხურდას არ აბრუნებს და სხ.

არა, მითხარით, თუ გწამთ ღმერთი, იმ ქალაქში, სადაც მცხოვრებლებს პატივისცემით ეპყრობიან, ამის მსგავს რამეს ექნება ადგილი? ნუ თუ არ შეიძლება ქალაქის პატრონებმა უბრძანონ ვაჭარს, რომ მან შაქარი დაარიგოს აქა იქ დუქნებში და ამით საშუალება მისცეს საზოგადოებას იყიდოს თავისუფლად, ადამიანურად. სად არის აქ წესი, სად არის აქ წესის დამცველი?!.

ღვთით მოვაჭრეების მოქმედება ხომ პირდაპირ აუტანელია. კი, მართალია, წელს ჩვენში ღვინო არ მოსულა, მაგრამ ეს გარემოება თუ ამ ზომამდის მიიყვანდა ფულის შოვნით დაინტერესებულ ადამიანს-ეს კი არ მეგონა. ერთგან ვერ იპოვით რიგიან, ბუნებრივ ღვინოს; ყველგან „კრასკებით" რიონის წყლით, შაქრით და ვინ იცის კიდევ რით შეზავებულ ღვინით უმასპინძლდებიან ხალხს ეს ვაჭბატონები... ყიდიან მშვიდად, გაუწითლებლად ამ ყოველნაირად დამახინჯებულ-გაფუჭებულ ხელოვნურ ღვინოებს და კაცი არ არის, რომ ეს ღვინოები გასინჯოს, დაამტკიცოს მათი უვარგისობა და საზოგადოება მოწამვლისგან იხსნას.

მეფართლე-მეწვრილმანეზე, ხარაზ-საპონიკზე, ლურგალ-მჭედელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მათ იმდენად მაღლა ასწიეს საქონლის ფასები, იმდენად ზღაპრულია ეს ფასები, რომ არ იცის მცხოვრებმა როგორ მოიქცეს. 5 მანეთიანი ნივთი 15 მ. გახდეს ოც მანეთიანი 40 მ.—ფოსტით ვღებულობთ ნივთებსო, იძახიან. ამ ვაჭრებისათვის ხომ კანონი, ნიხრი არ არსებობს; როგორც უნდათ ისე აფასებენ, როგორც მოუხდებათ, ისე ყიდიან. ალბად ასეა ყველგან ამ ჯურის ვაჭრების მოქმედება და ჩვენი ქალაქი ხომ გამონაკლისს არ შეადგენს. ამას კი ვიტყვი, რომ იმ ქალაქში, რომელსაც პატრონი ყავს, ვაჭრებს არა ადამიანური მოქმედება ასე საგრძნობელი არ იქნება.

ახლა ნუ დავიზარებთ, მაგრამ.:. კმარა... განა შეიძლება მოკლე წერილში ჩაითვალა ყველა იმ საწუხარო მოვლენებისა, რასაც აქვს დღეს ადგილი ჩვენ ქალაქში?

თუ ქალაქში ასე არა ადამიანურია ზოგიერთ ვაჭრების მოქმედება, ადვილი წარმოსადგენია რა იქნება უპატრონოდ დაგდებულ სოფლებში.

ჯერ ომამდეც არ ყოფილა ჩვენში ხორციანად დაწყობილი საქმე და ეხლა კიმ სულ აირია მონასტერი, ეხლა ხომ „ძაღლი პატრონს ველარ სცნობს".

საჭიროა, ჩემის ფიქრით, დროთი მასარგებლე, გადაგვარებულ ადამიანებს მოქმედებას მიაქციოს ყურადღება ქალაქისა და სოფლის პატრონებმა, თუ მათ, რასაკვირველია, ესმისთ თავიანთი დანიშნულების მნიშვნელობა...

გორგი.

ითი იგი წარმოადგენს „უდაბნოსა, უგზოსა და ურწყულოსა".

საიდან ჩნდება, მაინც, ქრისტიანობის კვალი საქართველოში? ერთად ერთს ულიდეს საუნჯეს საქართველოს ეკლესიისას შეადგენს ქრისტეს უკერავი პერანგი კვართი. ამ კვართზე დაკავშირებულია ქრისტეს მოძღვრების გავრცელება ჩვენში. საქართველოს ხვდა წილად იგი ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ გოლგოთის მთაზე.

აი, როგორ მოგვითხრობს ამაზე იოვანე მახარობელი: „დემისაგანთა მათ, რომელთა ჯვარს აცვეს ქრისტე, მიიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმა ერთსაგანმან ნაწილი, [illegible] კვართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, ჰრქვეს [illegible] ურთი ერთას: არა განხითოთ ესე, რამეთუ წილ ვუგდოთ ამას ზედა, ვისაცა [illegible]ოს; რათა აღესრულოს წერილით იგი! განიყვნეს **სამოსელი ჩემი თავისა მათისა, და კვართსა** ჩემსა ზედა განიგდეს წილი, ერისაგანთა მათ ესე ჰყვეს (იოან. 19, 20).

„ქართლის ცხოვრების" გადმოცემით, ბაბილონის ტყვეობის დროს, ნაბუქოდონოსორის მეფობაში, 600 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე, მცხეთას დასახლდნენ ებრაელები.

მცხეთას გარდა მათ ნება ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა ადგილებშიაც ეცხოვრათ. მე 70 წლებში იერუსალიმი მტერმა თავარ ჰყვეს, მცხოვრებნი 97,000 [illegible]ამდე დაატყვევეს. ამ დროს კვალად მოსახლდენ ებრაელები და დაეხიზნენ საქართველოში.

[illegible] ნინოს ცხოვრების მცხეთის ვარან[illegible] [illegible]! „როდესაც გადმოვიდა ქვე[illegible] [illegible] ნათესავის შესაწყნარებლად [illegible]

მაცხოვარი, მან შეიმოსა კაცის ბუნება და ჩვენ შორის იქცეოდა 33 წელ. ღმერთ-კაცი და ნიშებს ასრულებდა, ამისათვის ყოვლად უკეთურნი და ყოვლად ბორგნეულნი ურიანი, უფრო-კი მღვდელთ-მთავარნი და მწიგნობარნი, შურით განიპებდნ. მათ უნდოდათ დაევიწყათ და დაეფარათ დაუფარელი.

მცხეთას სცხოვრობდენ სამღვდელოტომნი და წარჩინებულნი ებრაელნი. იგინი ყოველ წლობით იერუსალიმს მიდიოდენ პასექზე დასასწრებლად და სხვებთან ერთად მოსეს სჯულის შესახებ საბჭობად.

როდესაც ინება ქრისტემ ხსნა ჩვენი ჯვარზე ვნებით და დადგა დრო ამის აღსრულებისა, მაშინ უარესად აბორგდენ ურიანი. მიეწერა მცხეთელ ებრაელთ: იესოდან მოსეს სჯული განქარვებულია, ჩვენი წესები დარღვეულია და თითქმის მთელი სოფელი შეუდგამსო. მოდით თქვენ აქ, როგორც ბრძენნი, სჯულის მცოდნენი და დაგვეხმარეთ, რომ აღვასრულოთ ღვთისა და მოსეს მცნებანიო.

მაშინ გამოარჩიეს მღვდელი ელიოზი, კაცი ბრძენი და მეცნიერი, მღვდლის შთამამავალი, რომელიც სხვებთან ერთად გაგზავნეს იერუსალიმს.

ელიოზის დედა იყო მოხუცებული და ღვთის მსახური, დედა-კაცი ფრიად ბრძენი და გონიერი; ელიოზს ჰყავდა აგრეთვე და, ქალწული შემკული სათნოებითა და ღვთის მოშიშებითა.

დედამ დარიგა ძე: ძეო ჩემო! აი შენ მიხვალ იერუსალიმს დღესასწაულზე დასასწრებლად. ეკრძალე და ნუ გაერევი მღვდელთ-მთავართა და მწიგნობართა, რომელნიც ბოროტს განიზრახვენ მართლისათვის, იგი (ე. ი. ქრისტ.) [illegible] წინასწარ-მეტყველთაგან და [illegible] დაფარული ურიათაგან და ცხოვრება საუკუნო წარმართთათვის.

და კი ასე ეუბნებოდა ელიოზს: ძმაო სასურველო! შენ გახდები ღირსი იმ მართალი კაცის ხილვისა და ნეტარება შენ! გევედრები შენ მომიტანე მე ჩემთვის დიდათ სასურველი რაიმე ისეთი, რომელსაც მისი ხელი, ან სამოსი შეეხო.

როდესაც მიაწია ელიაზმა იერუსალიმს უსჯულო კრებულმა გადასწყვიტა ჯვარცმა მხსნელისა. ელიოზი კი არ მიემხრ მათს განზრახვას. როდესაც აღსრულდა ვნება მაცხოვრისა, განიგდეს წილი სამოსელსა მისსა, რომელი იგი იყო უკერველ, მოქსოვილ ეს კვართი მოითხოვა ელიოზმა თავისთვის მიიღო და შეინახა.

ამას შემდეგ ელიოზი წამოვიდა იერუსალიმიდან, წამოიღო კვართი იგი უფლისა და მოვიდა მცხეთას, მას მიეგება დაი მისი და ჰოხვია ქედზე. დედა კი გარდაცვლილიყო. ელიოზმა გამოიღო უბიდან საუფლო კვართი, მისცა დას და უთხრა! აჰა, რომელიც გინდოდა! მიიღე მისი კვართი და გაიხარე. დამაც გამოართვა კვართი შეკეცილი, დაიკავა ხელში, აკოცა, ჩაიხუტა გულში და იმ წამსვე განუტევა სული.

მაშინ შეიქნა დიდი შფოთი ქალაქში და ყველას შეეშინდა. მეფეს უნდოდა კვართის გამორთმევა ელიოზის დის სიდონიასაგან, მაგრამ ვერ შესძლო.

ელიოზმა კი, შიშით და კრძალვით შეპყრობილმა, დაასამარა თვისი და კვართითურთ. ამნაირად დღემდი მას ხელთა აქვს კვართი იგი. ამ ადგილზე ამოსულა კიპაროზი, რომლის ქვეშ იყო სუნნელება ყვავილთა. ასე [illegible] ის ვარიანტი კვართზე

გ. გძელი.

(შემდეგი იქნება).

სასულიერო მართვა-გამგეობა ჩვენში.

VII.

დღევანდელი დრო ნამდვილი ანგარიშის დროა. ამ დროის ნიშნობრივი თვისებაა დროისა და ძალის დაზოგვა. ყველა იმის ცდაშია, რომ ცოტა დროით ბევრი ბევრი ისარგებლოს, მცირე ძ ლღონით შექმნას, ერთი სიტყვით ცოტა გასცეს და ბევრი შეიძინოს. აქ ყველაფერი ანგარიშზეა აგებული, ანგარიშით იზომ-იწონება, რადგანაც დღეს თავის შენახვა, თავის გატანა ძნელი შეიქნა. მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება და საშუალება კი თანდათან კლებულობს. ამ დროს ყოველ წუთს, ყოველ გროშს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. თუმცა ეს ასე არის, მაგრამ ჩვენში ეს ჯერ ვერ შეუგნიათ, თუ, არ ვიცი, არ შეუგნიათ. ასეა, თუ ისე ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და ერთი ორად მეტ დროსა და ფულს ვხარჯავთ, ვიდრე ეს საჭიროა.

ჩვენ პირველ-დაწყებითი სასულიერო-სამრევლო სკოლები ამ ათი-თხუთმეტი წლის წინეთ სამი წლის კურსით განისაზღვრებოდა, თუმცა დადგენილ პროგრამას საშობლო ენაზე ორი წლის განმავლობაში გადიან და მესამე წელიწადს მთლად უცხო ენაზე სჯიჯგნიან. მაგრამ ჩვენ სკოლას ესეც არ აკმარეს და სამ შეგირდხეც მიუმატეს და ამ გვარად სამი წლის კურსი ოთხად გადახადეს, თუმცა პროგრამას არაფერი მიმატებია და იგივე დარჩა. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ვითომც ჩვენმა ბავშვებმა სამი წლის განმავლობაში პროგრამა ვერ გაიარეს, ვერ ვნათ ვერ შეითვისესო. მაგრამ აქ მართალი ის არის, რომ ვერ შეითვისეს პროგრამა კი არა, რადგანაც ამისთვის ორი წელიწადიც საკმაოა, თუ სწავლება დედა ენაზე იქნება, არამედ ვერ მოასწრეს ამ საგნების გაზეპირება უცხო ენაზე. ნამდვილათ კი ჩვენი ბავშვები ორი წლის განმავლობაში გადიან პროგრამას საშობლო ენაზე, დანარჩენ ორი წელიწადს კი იგივე უნდა ღეჭონ უცხო ენაზე. და რა ტანჯვაა ჩვილი გონებისათვის ერთისა და იმავეს ღეჭვა და ის უცხო ენაზე ზეპირობა, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ამით ბავშვს სწავლის ყოველივე სურვილი და ხალისი ეკარგება, რადგანაც მისთვის ის რაც მას არ იზიდავს, მოსაწყენი და საზიზღარია ამ გვარით, სწავლის ძაგლება და ვერც იმ უცხო ენას ითვისებს, რომელსაც ის მსხვერპლათ ეწირება და ორი წელიწადიც უნაყოფოთ ეკარგება,

მაშ, რა კი ეს ასეა, რისთვის ეკარგება ორი წლის შრომა, ხარჯი და დრო? ამის პასუხს, გარეშე პოლიტიკისა, აწერენ მე კი არა, ვერც ისინი მოგახსენებენ, ვინც ეს ასე მოაწყო. ნეტავ სკოლა მაინც დარჩენილიყო პოლიტიკის გარეშე და მისი მსხვერპლი არ გამხდარიყო?!!

გარდა ამისა, როცა სკოლაში ოთხი განყოფილებაა, ორი მასწავლებელი უნდა იყოს, რომ შრომა მათ შორის სწორერათ განაწილებული იყოს და მას მეტი ნაყოფი გამოიღებინონ. ნამდვილათ კი, უმეტეს შემთხვევაში, სკოლაში, თუმცა ოთხი განყოფილება იხსნება, მასწავლებელი ერთი რჩება და ორი კაცის შრომას ეწევა და ისიც მაშინ, როცა ერთი ჯამაგირსაც ვერ ღებულობს სრულად. ასე რომ, ერთ მშიერ მასწავლებელს ორის ადგილას ამუშავებენ. რა უნდა გაიგოს ასეთ პირობებში მასწავლებელმა და ან რა ცოდნა უნდა გამოიტანონ მოსწავლეებმა ასეთი სკოლიდგან?! და მართლაც დიდი ვერაფერი გამოაქვთ! ხალხი ამას კარგად ხედავს და ჩვენ სკოლაზე ლამის გული აიცრუოს, თუმცა პირველ ხანებში ის სამრევლო სკოლის უფრო ემხრობოდა და თანაუგრძნობდა, მისგან უფრო მეტს მოელოდა, რადგანაც მას [illegible]

[illegible]

გაუმართლეთ მას და უმეტეს შემთხვევაში მოტყუებული დარჩა. ამიტომ ის პირველ შემთხვევისთანავე ხელს იღებს ჩვენს სკოლაზე და მეორე უწყების სკოლას იარსებს, რადგანაც დღეს. უმისობა მას აღარ არგია.

ამგვარათ, მასწავლებელიც ისჯება, მოსწავლეებიც იტანჯებიან და სკოლაც იღუპება ჩვენს ხელში. ამას ის არ სჯობია, რომ სკოლა ნორმალურ პირობებში ჩავაყენოთ?! მაშინ ბავშვებიც ხალისით ისწავლიან, მასწავლებელიც არ გაწვალდება და საზოგადოებაც ერთი ორათ შეიმოკლებს დროსა და ხარჯს. ამაში არც მთავრობა იქნება წაგებული, რადგანაც ერთის ადგილას ორი სკოლა ექნება და ეს კიდევ დააჩქარებს საზოგადო სავალდებულო სწავლის შემოღებას ჩვენში. ყველა ეს ადვილათ მოხერხდებოდა რომ დღეს ჩვენში უკუღმა არ იხვნებ-ითესებოდეს.

დე—ზა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

პარიზი. 15 იანვარი. საღამოს ცნობა. არტუაში საარტილერიო ბრძოლამ მიიღო მეტად მწვავე ხასიათი, მტერმა რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენი ფრონტის სხვა და სხვა პუნქტების წინააღმდეგ. მაღლობის 140 დასავლეთით ჟივანშში მტერმა ააფეთქა მთელი რიგი ნაღმებისა, და შესძლო დამკვიდრება ჩვენს მოწინავე თხრილებზე. მტრის მეორე იერიში, რომელიც მომართული იყო ჩვენი პოზიციის წინააღმდეგ ცევილ-ლაფოლის გზას მახლობლათ მოვიგერიეთ. მესამე იერიში ჩვენ საარტილერიო ცეცხლით მოვიგერიეთ, რომლის დროსაც გერმანელებმა თხრილებიდან გამოსვლა ვერ გაბედეს. მეოთხე იერიში სილონარის, სიმიკოლისა და ჭარრაასის გზასთან მტერს უშედეგოთ დაურჩა. ნევილ-ლაფონის გზის სამხრეთით დილით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუვაქციეთ. წავართვით ერთი ქურა. მტკიცდება, რომ ამ რაიონში მომხდარ ბრძოლების დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა. ჩვენ მიერ წართმეულ ქურასთან 150 გვამი დავთვალეთ. მტერმა ზარბაზნები დაუშინა არრასს და მის სამხრეთით ჩვენს პოზიციებს. ქვეითა ჯარს იერიში არ მოუტანია სომსა და უაზს შუა მდებარე მიდამოში სასანგრო ზარბაზნების ცეცხლით გავანადგურეთ მტრის საველე სიმაგრეები. ვოგეზებში ჩვენი არტილერია მარჯვეთ უშენდა შტოხვეირს. ერთ ერთმა ჩვენმა საჰაერო ესკადრამ, ეპარჟის რაიონში 12 იანვარს, მტრის ცეპელინების თავდასხმის სამაგიეროთ, 15 იანვრის ღამეს სროლა აუტეხა ფრეიბურგს, ბრეზნაუს, სადაც 18 ყუმბარამდის ჩამოაგდო, რომლითაც ძლიერ დაზარალდა სამხედრო უწყებათა რკინის გზის შენობები.

სერბიის ჯარის მოძრაობა, რომელიც ამ ჟამათ ალბანეთში იმყოფება, წესიერად მიმდინარეობს.

ლონდონი. 16 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. გუშინ საღამოთი ძლიერი თოფისა და საარტილერიო ცეცხლის საშვალებით მტრის ქვეითა ჯარი შეეცადა იერიშის მოტანას ჩვენი წინაწაწეულ თხრილების წინააღმდეგ. ლოოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იერიში მოგერებულ იქნა. გუშინ საღამოთი მტრის არტილერიამ სროლა აგვიტეხა, არმანტიერის აღმოსავლეთით. ჩვენ უპასუხებდით. მარიკურის ჩრდილოეთით ლოოსსა და ლაბასეს არხის შუა, მტრის არტილერია მძლავრათ მოქმედებდა. ბევრს სხვა და სხვა ადგილას ჩვენ ზარბაზნები დაუშინეთ მტრის თხრილებს. რეიტერის სააგენტო იტყობინება რომ ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის და იტალიის სამხედრო გემებმა 15 იანვარს გათენებისას დესანტი ნახევარ კუნძულ კარაბურუნზე გადასხეს და დაიკავეს საბერძნეთის ფორტი. საბერძნეთის გარნიზონს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

რომი. მთავარი ბანაკის ცნობა. კამონის საზღვართან საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. იზონცოს ზემო მიმდინარეობასთან, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, მტერი შეეცადა ჩვენს გამოდენას ჩვენის პოზიციებიდან, რომელიც მათ ემუქრებოდენ, მაგრამ უკუქცეულ იქნენ, პირველად მ[illegible] ახალი ძალით ორჯერ [illegible] თვის დიდი ზარალით. მოვიგერიეთ ამის შემდეგ, მტერი იძულებული გახდა გაქცეულიყო. გორიცის დასავლეთით მდებარე მაღლობებზე ჩვენმა ჯარმა, კვლავ დაიკავა ნაწილი ტერიტორიისა, რომელზეც 12 იანვარს ღამით მტერი და მკვიდრადა ბრძოლის ამ ხაზზე გუშინ მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ერთერთი ჩვენი რაზმი სარმატინის ჩრდილო-აღმოსავლეთით კარსისთან შეიჭრა მტრის თხრილებში.

ლონდონი. 16 იანვარი. ოფიციალურათ იუწყებიან დანარჩენი მოხსენებები ბრძოლის შესახებ ეგვიპტის დასავლეთ საზღვართან ამტკიცებს რომ მტერმა ჩვენი შეტევა გათენებამდი ვერ გაიგო. გამოქცეული ჯარისკაცების გადმოცემით, მარტო ერთ ფლანგზე მტრის ზარალი იმდენათ დიდია, რომ იგი აჭარბებს 12 იანვარს ჩვენ მიერ მიყენებულ ზარალს.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

პარიზი. 16 იანვარი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში მაღლობ 140 დასავლეთით ჩვენ თანდათანობით დავიკავეთ ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც გუშინ მტერმა წაგვართვა. ამასთანავე ტყვეობიდან გავანთავისუფლეთ 50 ჯარის კაცი. ლაფოლის გზის სამხრეთით მტერი კვლავ შეეცადა 2 ქურის ხელში ჩაგდებას, მაგრამ უშედეგოთ. არმანკურის რაიონში, ლასინის სამხრეთით, ჩვენ გავფანტეთ საზარგო რაზმი, გავანადგურეთ სადარაჯო პუნქტები მაღლობ 108 და ბერიობოკის სამხრეთით მტრის სიმაგრეები ვოკლერის ველთან. ლოტარინგიაში მარჯვეთ დავუშინეთ არტილერია მტრის თავდაცვის სიმაგრეებს ნომენსა და ეპლს შუა.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ.

15 იანვარს მტრის ბანაკში ფრანგების 14 ჰაეროპლანმა ურიცხვი ყუმბარა ჩამოყარა.

ჰავრი. 16 იანვარი. დღემ წყნარათ გაიარა, რადგანაც საარტილერიო მოქმედებას ხელს უშლიდა ნისლი.

რომი. 16 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა. ჯუიკარის ხეობაში ჩვენი არტილერია მკვირცხლს ცეცხლს უშენდა მტრის კოლონას. 14—15 იანვარს ჩვენს ქვეითა ჯარს შეტაკება ჰქონდა მტერთან ლაგარინის ხეობაში. კარნიაში მტერი დემონსტრაციას ახდენდა ჩვენ პოზიციების წინააღმდეგ. ჩვენმა არტილერიამ მტერს უპასუხა.

პარიზი. 16 იანვარი. დღის ოფიციალური ცნობა. არტუაში, მაღლობ 140 დასავლეთით, ჩვენ მედგარი კონტრიერიშით უკუ ვაქციეთ მტერი მის მიერ გუშინ დაკავებულ პოზიციებიდან. სომმის სამხრეთით, მტერმა, საარტილერიო სროლის შემდეგ, იერიში მოიტანა ჩვენს თხრილებზე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, მაგრამ იერიში მტრისთვის უშედეგოდ დასრულდა, მხოლოდ წარმატება ჰქონდა მტრის იერიშს სოფელ ფრიზთან, რომელიც მან დაიკავა. ამ ჟამად მტრის იერიში შეჩერებულია. ჩვენ კონტრიერიშით შევსძელით მტრის განდევნა ზოგიერთ მისგან დაკავებულ თხრილიდან ლიმოვის რაიონში მტერმა ღამით იერიში მოიტანა, მაგრამ შევაჩერეთ.

მიუნსტერის აღმოსავლეთით მდებარე ხეობაში ჩვენმა არტილერიის ყუმბარებმა ცეცხლი გამოიწვია ქარხანაში, სადაც საომარ მასალას ამზადებდენ. ამასთანავე მოხდა რამდენიმე აფეთქებაც.

პეტროგრადი. 17 იანვარი. ოფიციალური. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება 17 იანვარს ცარსკოე სელოში მობრძანება.

ხელს აწერს სასახლის მინისტრი ადიუტანტი გრაფი **ფრედერიკი.**

ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

1915 წლის ოქტომბერში უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბში შემდეგი მოხსენება მოვიდა:

ავსტრიის ტყვეობიდან დაბრუნებულმა 6 ჯარის კაცმა განაცხადა: 500 კაცისაგან შემდგარმა ტყვეების პარტიამ, მიუხედავათ მთელი რიგი წვალებისა, ცივი უარი განაცხადა თხრილების ამოთხრაზე. ამისათვის 4 ჯარის კაცი დახვრიტეს. დასახვრეტათ გამზადებული იყო კიდევ 50 კაცი. ყველანი საითაოთ დახვრიტეს. ავსტრიელების მიერ მიღებული ზომები, რომ ჩვენს ტყვე ჯარის კაცებს ემუშავათ მათ თხრილებზე, როგორც შტაბში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, წმინდა თავდაცვის ხასიათისაა. ხშირათ ჩვენს ჯარის კაცებს ამუშავებდენ მოწინავე ხაზზე ძლიერი საარტილერიო ცეცხლის დროს. ავრეთვე ავსტრიელები ცდილობდენ ძალდატანებით ემუშავებიათ ჩვენი ჯარის კაცები თხრილების ამოსათხრელათ ჩვენსავე ფრონტზე, მაგრამ ცდა უნაყოფოთ რჩებოდა, რადგანაც ჩვენში მტკიცეთ იცავდენ ჯარის კაცის ფიცს.

როგორც გამოირკვა, დახვრეტილ იქნენ ჯარის კაცები: ივანე ტიმოთეს ძე ნიშჩენკო, ხერსონის გუბერნიიდან, თედორე ლუპინი, კურსკის გუბერნიიდან, ივანე კატაევი, ვორონეჟის გუბერნიიდან და ფილიპე კულინი, ორლოვის გუბერნიიდან. როგორც ერთი ავსტრიელი დეზერტირი, რომელმაც ზემო დასახელებულ ჯარის კაცების დახვრეტა თვალით ნახა, გადმოგვცემს, მისი რაზმი გაგზავნილი იყო ბრეჟებრადს, რომ ძალით ემუშავებიათ რუსი ტყვეები თხრილებზე და რადგანაც უკანასკნელებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე, სასტიკი ზომები მიიღეს მათ წინააღმდეგ: 20 მათგანი ბარბაროსული საშუალებით მიკრული იყვნენ ხეებზე. ერთი უნტერაფიცერი მოსკოვიდან პირდაპირ ჯვარს აცვეს: ხელები თავზე მიაკრეს და ფეხებით დაკიდეს ხეზე მიწიდან 25 სანტ. სიშორეზე. 20 წუთის შემდეგ მან დაჰკარგა გონიერება. 2 საათის შემდეგ ასევე აწამეს ყველა ტყვე. ზოგიერთი წვალების დროს ევედრებოდა მათ დაეხვრიტათ იგი და არ ეწვალებიათ. ამას სჩადიოდენ მომავალი ოფიცრები ავსტრიის არმიისა. და რადგანაც ასეთი ზომებით რუსი ტყვეები ვერ დაარწმუნეს, და სურვილი გამოსთქვეს მოეყვანათ განაჩენი სისრულეში, ამიტომ მათში პირველათ ამოარჩიეს 4 კაცი დასახვრეტათ. დახვრეტა შემდეგ ნაირათ მოხდა: 1501 რუსი ტყვე შეკრიბეს ერთად ერთ საცხოვრებელ სახლთან, რომელიც გზის ნაპირას იდგა და რომლის გასწვრივაც ჩამოდიოდა რუ. რომელზეც გადებული იყო ხიდი სააფიცრო სკოლის მოწაფეები დაემწკრივნენ. სამი საათის განმავლობაში სასიკვდილოთ დასასჯელნი გადაყავდათ ხიდზე რუს მეორე ნაპირას, სადაც 4 მოწაფე ახლო მანძილზე მსხვერპლს თავსა და გულში ტყვის დახლით სიცოცხლეს ასალმებდა. საიდგანაც დამხვრეტ მოწაფეების რიცხვი და მსურველი ბევრი იყო, ყველა რიგრიგათ იცვლებოდა და მონაწილეობას იღებდა ტყვეების დახვრეტაში. განსაკუთრებით ერთი უნტერ აფიცერი, ვზვოდნი ინსტრუკტორი, თხოულობდა მიეცათ მისთვის ნება რუსების დახოცვისა. თხოვნა შესრულებულ იქნა. დამხვრეტლები გერმანელები იყვნენ.

ისტორია ამ ჩუმ გმირ ტყვეების სახელს არ დაივიწყებს. შტაბმა უკვე მიიღო შესაფერი ზომები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

22 დეკემბრის „სამშობლოს“ ნომერში თავ. დ. შარვაშიძის პიესის „გიორგი მესამის“ რეცენზიაა მოთავსებული.

რეცენზიის ბოლოში, სხვათა შორის, ჩვენ დღევანდელ ქალების ტანსაცმელზეა ლაპარაკი. ადარებს რა ჩვენ ძველ (ეროვნული) ქალთა ტანსაცმელს, უპირატესობას აძლევს წარსულს დღევანდელზე.

ყოველი ობიექტიური მსჯელობა მივა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ტანისამოსი, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა, მეტად ლამაზია.

რომ ეს პირად აზრათ არ ჩაგვეთვალოს, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს სხვებზე ჩვენი ნაციონალური კოსტიუმი.

მოგეხსენებათ რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში და ბევრგან ევროპის ქალაქებშიაც, სადაც რამდენიმე თეული მაინც არის ქართველობა, თითქმის ყოველწლივ იმართება ტრადიციული ქართული საღამოები.

ჩვენ ეროვნულ ტანისამოს ყველგან ალტაცებაში მოჰყავს „საღამოებზე“ დამსწრე საზოგადოება, რასაც პრესაც აღნიშნავს ხოლმე.

მახსოვს, ამ ოთხი წლის წინათ რა ქათინაურებით იხსენიებდა ჟენევის რამდენიმე გაზეთი ჩვენს ეროვნულ ტანისამოს. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ჟენევის უნივერსიტეტის რექტორს ქართველ სტუდენტებისთვის ფული მიუცია საგანგებოთ ქალაქებისთვის, რათა ჩვენი თანამემამულენი დასწრებოდნენ უნივერსიტეტის იუბილეიზე თავისი ლამაზი ტანსაცმლით.

მაშ, თუ ეს ასეა, რატომ არ იცმენ ჩვენი ქალები და ვაჟები ეროვნულ ტანისამოსს? ნუ თუ მათ გემოვნება არა აქვთ, ნუ თუ მათ ყოველივე ლამაზი არ იტაცებთ, ნუ თუ მართლა შანტეკლერეთ და თავზე სხვადასხვა ფორმის გოდრები ურჩევნიათ ოქრომკედით მოჰვლილ გულმკერდიან კაბას და თავზე გადაფრიალებულ ნაზ ლეჩაქს?

არა. არ ურჩევნიათ, მაგრამ აქ მიზეზი სულ სხვაა, სარჩული სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ქართველი ქალები და კაცები ამაში იმდენად დამნაშავენი არ არიან, რამდენადაც საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც დროთა ბრუნვის გამო შეიცვალა ამ ასი წლის წინ.

შეცვალეთ დღევანდელი პირობები ქართველურათ, და თქვენ დაინახავთ როგორ თავისუფლად მოედოს ეროვნული ტანისამოსი.

დღეს მარტო „უსწავლელი“ ხალხი ატარებს ეროვნულ ტანისამოს და რაკი ეს უსწავლელი ხალხი ერის უმრავლესობას—მასას შეადგენს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ღარიბია, ამიტომ ტანსაცმელიც ღარიბათ და ულამაზოთ გამოიცქირება.

„ნასწავლი“ ქალი ეროვნულ ტანისამოსს ვერ იცვამს, ვერ იცვამს, რადგან ძვალსა და რბილში გაუჯდა, რომ თუ ლეჩაქი დაიხურა უსწავლელ ქალებში ჩასთვლიან. ხშირად საკმარისად მიაჩნიათ ორიოდე რუსული რაკა-რუკი ისწავლონ, რომ „შლიაპა“ წამოისკუპონ. ან თუ სოფლელი ქალი ქალაქის თუნდ უბრალო მუშასაც გაჰყვეს ცოლად, საჭიროთ მიაჩნია ლეჩაქი მოიხადოს.

დღეს მაგალითად, მთელ თფილისის გუბერნიაში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, სულ რამდენიმე მანდილოსანი ატარებს ქართულ ტანისამოსს.

ქართველი მსახიობები, ქართველ დაწესებულებებში მოსამსახურენი რომ არ იცმენ ნაციონალურ ტანისამოსს სხვებს რა უნდა მოვსთხოვოთ? სხვები მომეტებულნი ხომ იმას ცდილობენ, რაც შეიძლება სახელმწიფოს გაბატონებულ ერის შვილებს დაემგვანონ თვით გარეგნულათაც კი, რათა უფრო ადვილი იყოს ბრძოლა არსებობისათვის.

ბევრს ვერ გავამტყუნებთ, რადგან დრონი მეფობენ. განა ცოტას უნდათ ატარონ ეროვნული ტანისამოსი? ბევრს

ძმათა ყორყოლაძე
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩ
მიღებულია
საპნის გასაკეთ
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკა
ყველაზედ ზომიერია როგორც

სალი
ჟელაგა
ახალი მეცნიერულად შემზადებული
ზობის, მოშლის, ნაწლევების, კატა
წილების სისუსტ
ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელ
პირის ლებინებისა, სიმწვავისა, მუ
ბისა, ნაწლევების კატარისა, გემორ
თავის ტკივილებს, მადის დაკარგვ
მთელი ორგანიზმის
ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ
მელიც არა თუ სპობს ყაბზობა
პრეპარატი ჟელაგარი ექ. ვეზისა
რადიკალურ გზას ყაბზობისა და მი
ჟელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებ
ვებს, აშორებს უღებობას და აჩვე
დიკალურათ სპობს ჰვალს, ნაწლ
სუსტეს, რომელიც გა
ჟელაგარი სრულებით უვნებელი
ლებით ადვილი გადასატანია თ
პრეპარატ ჟელაგარს ხმარობენ
ავათმყოფობის დროს და მოწონ
მუნო საშუალება კუჭის ყოველგ
ბ
დაწვრილებით ბროშურა კუჭის
ხოვნილებისთანავე
ნამდვილი ჟელაგარი ექ. ვეზის
იყიდება „პრაქტიკულ მედიცინი
ქ. ქუთაისში ა. პ. შავერ
ქელიაგარის ერთი კოლოფი ღირ